საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესრულება

სამოქალაქო საზოგადოების შეფასება

ღია
საზოგადოების
ფონდი

დეკემბერი, 2018

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ ღია საზოგადოების ფონდების ქსელის წევრი ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წელს ნიუ-იორკის „ღია საზოგადოების ინსტიტუტმა“ დააფუძნა. ფონდი ხელს უწყობს ღია, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ემსახურება საზოგადოებრივი ინტერესების წარმოჩენას, მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების დაცვას და საზოგადოებაში განსხვავებული აზრის მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას. ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ“, სხვა დონორ ორგანიზაციებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში სამოქალაქო სექტორის და მედიის განვითარებაში. ფონდი ახორციელებს პროექტებს და მხარს უჭერს ისეთ ინიციატივებს და ინოვაციურ მიდგომებს, რომლებიც ემსახურება კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებების დაცვას, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის განვითარებას, სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებას, ეროვნულ და ევროპულ ინტეგრაციას, ჯანდაცვის სფეროს განვითარებასა და სოციალურ თანასწორობას.

მთარგმნელ-რედაქტორი: ანა გეგეჭკორი
დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე

წარმოდგენილ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრება, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესრულება

სამოქალაქო საზოგადოების შეფასება

დეკემბერი, 2018

სარჩევი

07 მართლმსაჯულება

17 ანტიკორუფციული პოლიტიკა, ადმინისტრაციული რეფორმა და საჯარო სამსახური

23 პროფესიული კავშირების უფლებები და ძირითადი შრომითი სტანდარტები

31 თანასწორი მოპყრობა

37 ბავშვთა უფლებების დაცვა

41 გარემო და კლიმატის ცვლილება

47 ავტორები

მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგში განსაზღვრული მოკლევადიანი პრიორიტეტების შესრულების მონიტორინგის შედეგები. პრიორიტეტების შესრულების მონიტორინგი და ანალიზი სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე წამყვანმა ორგანიზაციამ ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით განახორციელა.

ანგარიში შემდეგ ექვს სფეროს მოიცავს: *1) კანონის უზენაესობა* (მათ შორის *მართლმსაჯულებისა და სამართალაღსრულების სექტორები); 2) ანტიკორუფციული პოლიტიკა, ადმინისტრაციული რეფორმა და საჯარო სამსახური; 3) თანასწორი მოპყრობა; 4) ბავშვთა უფლებები* (ოთხივე ასოცირების დღის წესრიგის 2.2 ნაწილის შესაბამისად); *5) პროფესიული კავშირების უფლებები, ძირითადი შრომითი სტანდარტები და დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები* (ასოცირების დღის წესრიგის 2.2 და 2.6 ნაწილების შესაბამისად); 6) გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება (ასოცირების დღის წესრიგის 2.7 ნაწილის შესაბამისად).

ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ, მთავრობის მხრიდან გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, საერთო პროგრესი არათანაბარია. რეფორმები ხშირად დაყვანილია ფორმალურ ცვლილებებამდე, რაც პრაქტიკაში არ აისახება. მართლმსაჯულების სფეროში არ განხორციელებულა ძირითადი ინსტიტუტების რეფორმა. მსგავსი ვითარებაა გარემოს დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებშიც. დროულად არ განხორციელებულა საკანონმდებლო ცვლილებები რიგ სექტორებში. მაგალითად, გარემოს დაცვის სფეროს რეფორმირების პროცესს წინ არ უძღვოდა კონსულტაციებისა და მსჯელობის შედეგად მიღებული სიტუაციური ანალიზი. რეფორმები არასრულფასოვნად განხორციელდა ისეთ სფეროებში, როგორიც არის შრომითი უფლებები და სამართალაღსრულება. რეფორმების დაგეგმვისა და განცხორციელების პროცესში მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ასევე საჯარო დაწესებულებებში სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსისა და დაფინანსების ნაკლებობა.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის პროცესში შეფასდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული მოკლევადიანი პრიორიტეტების შესრულება ექვს სფეროში. შეფასება ეყრდნობა ასოცირების ხელშეკრულების შესრულების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმას და ამ გეგმით გაწერილ ინდიკატორებს. წარმოდგენილ ანგარიშში მოკლევადიანი პრიორიტეტები გამუქებული შრიფტით არის ციტირებული. თითოეული პრიორიტეტის შემთხვევაში შეფასებულია მისი განხორციელების ხარისხი – *განხორციელდა, ნაწილობრივ განხორციელდა, არ განხორციელებულა*. პრიორიტეტის სტატუსის აღწერას თან ერთვის დეტალური ინფორმაცია კონკრეტული ქმედებების შესრულება-არ შესრულების შესახებაც.

მართლმსაჯულება

მართლმსაჯულების სექტორი

1. „სასამართლო სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განვითარება და ეტაპობრივი იმპლემენტაცია, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხება მოსამართლეთა დანიშვნის, დაწინაურებისა და გადამზადების პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესებას, ადამიანის უფლებებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით, აგრეთვე, ადეკვატური რესურსების გამოყოფა შესაბამისი სასამართლო კომპეტენციის უზრუნველყოფისათვის; იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებლობის შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით უფლებამოსილებათა გაზრდით“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: 2017 წლის 29 მაისს დამტკიცდა სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისათვის და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა. სასამართლო სისტემის სტრატეგია ხუთ ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას ასახავს:

- დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა;
- ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა;
- სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო საკვალიფიკაციო გამოცდის და მისი მოსამზადებელი პროცესის განახლებული წესი. მოსამართლეთა განგრძობადი გადამზადების სისტემის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა გარკვეული აქტივობები.

არ გაკეთდა: მიუხედავად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის წესი კვლავ არ აკმაყოფილებს დამსახურების პრინციპით, ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ სტანდარტს, შერჩევა/დანიშვნის პროცესი არ არის დასაბუთებული და გამჭვირვალე. არ განხორციელებულა ღონისძიებები სასამართლოების თავმჯდომარეთა შერჩევა/დანიშვნის პროცედურის და კრიტერიუმების დადგენის მიზნით. სამოქმედო გეგმის შესასრულებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა გამჭვირვალობის ნაკლებობით და არაეფექტურობით ხასიათდება.

ეროვნული სამოქმედო გეგმით 2018 წლისთვის გათვალისწინებული 14 აქტივობიდან 12 არ განხორციელებულა ან ნაწილობრივ განხორციელდა.

2. „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეფექტიანობის გაუმჯობესება inter alia მისი დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფით“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: 2018 წლის ივლისში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დააზუსტა გადაწყვეტილებების გამოქვეყნების წესი. ცვლილებების თანახმად, საბჭოს გადაწყვეტილებები საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებების საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე კონსოლიდირებული სახით განთავსებას.

არ გაკეთდა: არ მომზადებულა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები ჯერ კიდევ არ რეგულირდება კანონით, რაც ამცირებს საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშვალდებულებას. მათ შორის, არ გაუმჯობესებულა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის, გადაწყვეტილებების მიღების, დასაბუთებისა და გამოქვეყნების პროცედურები; საბჭოს სხდომების მოსამზადებელი პროცედურები და გამართვის წესი არ შეცვლილა და რჩება ხარვეზები.

3. „სასამართლოს ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესება მკაფიო და ყოვლისმომცველი დისციპლინარული წესების იმპლემენტაციით, რომლებიც ეფექტიანად სრულდება, ისევე როგორც მოსამართლეთა პროფესიონალიზმისა და დამოუკიდებლობის გარანტირებით“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი და დადგინდა ინსპექტორის საქმიანობის წესი.

არ გაკეთდა: დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი ჭიანურდება, რაც საფრთხეს უქმნის მოსამართლის დამოუკიდებლობას. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის მაჩვენებელი მაღალია, რაც არასათანადო გამჭვირვალობის პირობებში წარმოშობს ეჭვებს საქმეთა შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების ობიექტურობასთან დაკავშირებით. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ახლებური ჩამონათვალი კვლავ არ არის მიღებული, რაც დააკმაყოფილებდა კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნებს.

4. „სასამართლოთა ინსტიტუციური სტრუქტურის რაციონალიზაცია, მათ შორის, სადაც ამის აუცილებლობა არსებობს, სპეციალიზებული პანელებისა და პალატების ჩამოყალიბება და დაგროვებულ საქმეთა რაოდენობის შემცირება საერთო სასამართლოების სამოქალაქო დანაყოფებში“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: სასამართლოში საქმეთა გაჭიანურების, საქმეთა ჭარბი ნაკადის და სასამართლოს გადატვირთულობის პრობლემის მოსაგვარებლად მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები. სასამართლოებში ჩამოყალიბდა ვიწრო სპეციალიზაციები და გაიზარდა დასაქმებულ მოხელეთა რაოდენობა.

2018 წლის აგვისტოში ჩატარდა კვლევა მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსასაზღვრად. 2018 წლის ნოემბერში განხორციელდა სასამართლო სისტემაში საქმეთა გაჭიანურებისა და ნაშთის ზრდის მიზეზების წინასწარი შეფასება.

არ გაკეთდა: არ მომხდარა ნაშთად დარჩენილი საქმეების შემცირების მექანიზმის, დროის მართვის, დაყოვნების პრევენციის და შემცირების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.

5. „სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის ამაღლების მიზნით, საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის განვითარება და საქმეთა მართვის ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: 2017 წლის 1 მაისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი, რაც უზრუნველყოფს საქმეთა გადანაწილებას შესაბამისი კოლეგიის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის, გარდა ამ წესით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. საქმეთა განაწილების ელექტრონული პროცედურა ამოქმედდა 2017 წლის 1 ივლისიდან პილოტურად ამოქმედდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 31 დეკემბრიდან საერთო სასამართლოების მთელ სისტემაში.

არ გაკეთდა: საქმის ელექტრონულად განაწილების წესით შენარჩუნებულია სასამართლოთა თავმჯდომარეთა ფართო დისკრეცია, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად: ა. მოსამართლეს დაავალოს საქმის განხილვაში მონაწილეობა ამავე სასამართლოს სხვა პალატაში ან საგამოძიებო კოლეგიაში; ბ. ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში; გ. მოსამართლეს დაავალოს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო მაგისტრატ მოსამართლესსაქმის მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განხილვა. სასამართლოს თავმჯდომარე ინარჩუნებს ვიწრო სპეციალიზაციის ფარგლებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის უფლებამოსილებას, რაც საქმეთა განაწილების სისტემაში სასამართლოს თავმჯდომარის ჩარევის რისკებს ტოვებს. ამასთან, საბჭოს უფლებამოსილება განსაზღვროს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია შეუზღუდავია, რაც საბჭოს ანიჭებს განუსაზღვრელ დისკრეციას, მოსამართლეთა სპეციალიზაცია დაადგინოს საქმეთა შემთხვევით განაწილების პრინციპის საზიანოდ.

6. „პროკურატურის რეფორმის გაგრძელება მისი საქმიანობის დამოუკიდებლობის, ნებისმიერი არამართლზომიერი გავლენისგან დაცვის, მეტი გამჭვირვალეობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: 2017 წელს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს პროკურატურის სტატუსს, უფლებამოსილებას და საქმიანობის წესებს. აღნიშნულ ცვლილებებს უნდა მოჰყოლოდა კანონმდებლობის შემდგომი ჰარმონიზაცია. პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „საქართველოს პროკურატურის შესახებ“.

2017 წლის 25 მაისს დამტკიცდა პროკურატურის მუშაკთა ახალი ეთიკის კოდექსი. 2017-2018 წლებში პროფესიული ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე პროკურატურის თანამშრომლებისათვის (პროკურორი, პროკურატურის გამომძიებელი, მრჩეველი, სპეციალისტი) ჩატარდა 26 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 552 პირი.

არ გაკეთდა: საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან მხოლოდ ფორმალურ შესაბამისობას უზრუნველყოფს, რაც, თავისთავად, არ არის საკმარისი პროკურატურის სრულფასოვანი რეფორმის განსახორციელებლად. საპროკურორო საბჭოს არა აქვს საკმარისი გარანტიები ფუნქციური და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მისაღწევად.

7. „სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმის გაგრძელება სასჯელთა ლიბერალიზაციის, კანონმდებლობის მოდერნიზაციის მიზნით და მისი ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: მომზადდა სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი.

არ გაკეთდა: სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი ჯერ არ არის წარდგენილი პარლამენტში.

8. „საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოთა შემდგომი გაუმჯობესება მაღალი ხარისხის უფასო სამართლებრივი დახმარების, ისევე როგორც ფასიანი სამართლებრივი მომსახურების უზრუნველსაყოფად“

ზოგადი შეფასება: შესრულდა

გაკეთდა: იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი გაფართოვდა და გავრცელდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომელიც მიზნად ისახავდა იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმირებას და მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

9. „სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანი სასამართლოს, სასამართლოს ხელმისაწვდომობისა და პროცედურული უფლებების უზრუნველყოფის გაგრძელება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, სასამართლოს პრეცედენტული სამართლისა და ევროპის საბჭოს სხვა შესაბამისი კონვენციებით, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად, გამომდინარე საქართველოს ვალდებულებების მიხედვით, შემდეგი პრინციპების სრულად განხორციელების გზით:
– სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულთა პროცესუალური უფლებების გარანტირება;
– დანაშაულის, მათ შორის სიძულვილის დანაშაულის, მსხვერპლთათვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის, დაცვის, მხარდაჭერისა და კომპენსაციის უფლებათა უზრუნველყოფა“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: დაიწყო მუშაობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტზე.

2018 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მხოლოდ ერთი აქტივობა იყო გათვალისწინებული მოსამართლეთათვის ტრენინგის კურსის ჩატარება. ჩატარდა ტრენინგები და მოსამართლეებმა გაიარეს პროფესიული მომზადება.

არ გაკეთდა: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი არ წარდგენილა პარლამენტში.

10. „სამართლიანი, ეფექტიანი და აგრეთვე უფრო ფართოდ გამოყენებადი, დავების მოგვარების ალტერნატიულ მექანიზმთა შემოღება“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მედიაციის მექანიზმის შემუშავების ხელშესაწყობად. ჩატარდა ტრენინგები.

არ გაკეთდა: სხვა აქტივობები არ განხორციელებულა ან მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა.

11. „პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში და მათ გარეთ, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიდგომათა იმპლემენტაცია დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენციის მიზნით და საჯარო წესრიგსა და უსაფრთხოებას და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას შორის ჯეროვანი ბალანსის შენარჩუნება“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორის 2017 წლის 24 ოქტომბრის №321/ს ბრძანებით შემუშავდა ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა. განხორციელდა გარკვეული აქტივობები ყოფილ პატიმართა დასაქმების, განათლებისა და რეაბილიტაციის პროგრამებში ჩართვის თვალსაზრისით.

არ გაკეთდა: ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები პირობით მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სათანადო უზრუნველყოფის და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების თვალსაზრისით. არ არის დამტკიცებული ფსიქოსოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების ერთიანი სტანდარტი და პროგრამების პაკეტი.

სამართალაღსრულების სექტორი

12. „სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და დემოკრატიული ზედამხედველობის გაზრდა. პოლიციის წინააღმდეგ გამოთქმული შენიშვნები დამაჯერებელი პასუხისთვის მოითხოვს პროფესიონალურ, ეფექტიან მექანიზმს. სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ გამოთქმული შენიშვნების დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიების განსავითარებლად შემდგომი ზომების მიღების განხილვა. სამართალდამცავ ორგანოთა ოფიცრებისთვის ყოვლისმომცველი ტრენინგების ჩატარება ეთიკური სტანდარტებისა და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით გარანტირებული უფლებების თაობაზე“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: 2018 წლის 20 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“.[1] კანონის მიზანია, შეიქმნას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ინსტიტუტი, რომელიც გამოიძიებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ან მოხელის მიერ ჩადენილ დანაშაულს.

2017-2018 წლებში (2018 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით) შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა 14 ტრენინგი პროფესიული ეთიკის სტანდარტების შესწავლის მიზნით, რომელსაც 805 მონაწილე დაესწრო. ამავე პერიოდში ჩატარდა 26 ტრენინგი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე. ამ ტრენინგებს 1 800 მონაწილე დაესწრო.

არ გაკეთდა: ახლად შექმნილი სახელმწიფო ინსპექტორის მანდატი და კომპეტენციები შეზღუდულია, რაც კითხვას ბადებს ამ მექანიზმის ეფექტიანობასა და დამოუკიდებლობაზე. დანაშაულთა გარკვეული წრე, რომელთა სამართალდამცავთა მიერ ჩადენის ფაქტებზე საზოგადოება ხშირად მიუთითებს, შექმნილი მექანიზმის მიღმაა დარჩენილი. სისხლისსამართლებრივი დევნის ექსკლუზიური უფლებამოსილებას პროკურატურა ინარჩუნებს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფუნქციები შემოიფარგლება საგამოძიებო კომპეტენციით, მაშინ, როდესაც არსებული კანონმდებლობის თანახმად, საპროკურორო ზედამხედველობიდან გამომდინარე, გამოძიებას პრაქტიკულად პროკურატურა წარმართავს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის მანდატი და უფლებამოსილებები შეზღუდულია, მაინც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ამ ინსტიტუტის ამოქმედება დადგენილ დროს, 2019 წლის 1 იანვრიდან. ამიტომ საქართველოს პარლამენტის მიერ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებების დაჩქარებული წესით განხორციელებარამდენიმე დღით ადრე, სანამ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უნდა ამოქმედებულიყოგანსაკუთრებით უარყოფითად უნდა შეფასდეს. კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად 2019 წლის 1 იანვრის მაგივრად კანონი ძალაში ექვსი თვის დაგვიანებით შევა.

1 კანონი ძალაში შევიდა **2018** წლის **21** ივლისს.

13. „პატიმრობის ალტერნატიულ ზომათა ფართო გამოყენება ახალი არასაპატიმრო სასჯელების შემოღებითა და პრობაციის სამსახურის შესაძლებლობათა გაზრდით“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, არასაპატიმრო სასჯელის ერთ-ერთ სახედ ამოქმედდა შინაპატიმრობა. შინაპატიმრობის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის №146 ბრძანება არეგულირებს. დაინერგა რისკისა და საჭიროებების შეფასების შედეგად სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა.

არ გაკეთდა: საპატიმრო სასჯელის გამოყენების წილი კვლავაც მაღალია.

ანტიკორუფციული პოლიტიკა, ადმინისტრაციული რეფორმა და საჯარო სამსახური

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგი (ანტიკორუფციული პოლიტიკის, ადმინისტრაციული რეფორმისა და საჯარო სამსახურის სფეროში) შვიდ მოკლევადიან პრიორიტეტს მოიცავს, რომლებიც, დოკუმენტის თანახმად, „მიღწეული უნდა იქნეს ან მათი შესრულების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი უნდა შეიმჩნეოდეს 2018 წლის დასასრულისთვის“.

1. „კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება და შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტიანი იმპლემენტაცია, როგორიც არის გაერო-ს ანტიკორუფციული კონვენცია და კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი, ასევე ევროპის საბჭოს ქვეყნების კორუფციის წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფის (GRECO) რეკომენდაციები და OECD-ს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციები“

ზოგადი შეფასება: შესრულდა

გაკეთდა:

- კორუფციის რისკის შეფასების მეთოდოლოგიის მომზადება – ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს თანამშრომლები დაესწრნენ ორ ტრენინგს რისკების შეფასებასთან დაკავშირებით. მეთოდოლოგიის დოკუმენტის დასრულება 2018 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.[2]

- კორუფციის პრევენციისა და მასთან ბრძოლის საქმეში პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამის უწყებებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაგრძელება – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა 2018 წელს მონაწილეობა მიიღეს 12 საერთაშორისო ღონისძიებაში, ასევე გაფორმდა შვიდი დოკუმენტი საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.[3]

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) პროფესიული განვითარება. პროფესიული გადამზადების სპეციალური სასწავლო პროგრამის განხორციელება – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა 2018 წელს მონაწილეობა მიიღეს ტრენინგის 14 საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებასა და კურსში.[4]

- 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი – 2017-2018 წლების მონიტორინგის ანგარიში ანტიკორუფციულ საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბერს წარედგინა.

2 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა იუსტიციის სამინისტროსთან, 2018 წლის ნოემბერი-დეკემბერი.
3 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, 2018 წლის ნოემბერი-დეკემბერი.
4 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, 2018 წლის ნოემბერი-დეკემბერი.

2. „მოქალაქეთა უფლების გაუმჯობესება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, როგორც კორუფციის ეფექტიანად პრევენციის ერთ-ერთ საკვანძო ზომაზე“

ზოგადი შეფასება: არ შესრულდა

არ გაკეთდა: ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის მომზადება – სამოქმედო გეგმის მიხედვით, კანონპროექტი პარლამენტისთვის 2018 წლის ივლისისთვის უნდა ყოფილიყო წარდგენილი, მაგრამ 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობითაც კი არ წარდგენილა.

3. „მოქმედი საზედამხედველო, აუდიტისა და ფინანსური საგამოძიებო ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება“

ზოგადი შეფასება: შესაბამის უწყებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია განხორციელების შესახებ.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, ამ პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში ფინანსთა სამინისტროს შემდეგი ქმედებები უნდა განეხორციელებინა:

- შიდა აუდიტის ორგანოების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი წლიური გეგმის შესაბამისად ტრენინგების, მათ შორის კორუფციის ნიშნების დადგენასთან და აღკვეთასთან დაკავშირებული ტრენინგების, ჩატარება.

- ადგილობრივი ტრენერების გადამზადება კორუფციის გამოვლენასა და პრევენციაში მდგრადობისა და მუდმივი განვითარების უზრუნველსაყოფად.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ ფინანსთა სამინისტროს გაუგზავნა წერილი და სთხოვა, წარმოედგინა ინფორმაცია აღნიშნული ქმედებების განხორციელების შესახებ, მაგრამ, 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს წერილზე პასუხი არ გაუცია.

4. „პოლიტიკის შემუშავების ინკლუზიური პროცესის გაგრძელება მოქალაქეთა მონაწილეობის, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოებასა და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დიალოგის მეშვეობით“

ზოგადი შეფასება: შესრულდა

გაკეთდა:

- 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადება, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია პოტენციურ ინვესტირებაზე ისეთ სფეროებში, როგორებიც არის ინოვაცია და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის დახმარების გაწევა – პროგრამა დამტკიცებულია და განთავსებულია ინტერნეტში.[5]

5. „დარგობრივ კომიტეტთა უფლებამოსილების გაუმჯობესებით პარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილებათა გაძლიერება“

ზოგადი შეფასება: არ შესრულდა

არ გაკეთდა: 2018 წლის სამოქმედო გეგმაში არ არის შეტანილი რაიმე საქმიანობა ამ თემის ფარგლებში, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ის ასოცირების დღის წესრიგში მოკლევადიან პრიორიტეტად არის განსაზღვრული.

5 http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/2018-2021_clebis_sakartvelos_regionuli_ganvitarebis_programa_0.pdf

6. „საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის გეგმის იმპლემენტაციის გაგრძელება და აღნიშნული გეგმის და ძირითადი სტრატეგიების კოორდინაციის, ზედამხედველობისა და ანგარიშგების გაძლიერება პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ დონეებზე“

ზოგადი შეფასება: შესრულდა

გაკეთდა:

- „ღია მმართველობა საქართველოს“ 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის მომზადება – „ღია მმართველობა საქართველოს“ 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა მომზადებულია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.[6]

- „ღია მმართველობა საქართველოს“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის საბოლოო შეფასების ანგარიშის მომზადება – საბოლოო შეფასების ანგარიშის მომზადებულია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.[7]

- „ღია მმართველობის პარტნიორობის“ მეხუთე გლობალური სამიტის ჩატარება – სამიტი 2018 წლის ივლისში ჩატარდა.

- საჯარო სექტორის ელექტრონული სერვისების მისაწვდომობის უზრუნველყოფა ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის მეშვეობით (my.gov.ge) – პორტალი ამჟამად დაახლოებით 400 სხვადასხვა სერვისს უწევს ფიზიკურ პირებს და 50-ზე მეტ სერვისს – ორგანიზაციებს.[8]

- სახელმწიფო სერვისების შექმნისა და გაწევის შესახებ პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება – მომზადდა დოკუმენტის პროექტი, მაგრამ მთავრობას ჯერ არ დაუმტკიცებია საბოლოო ვარიანტი.[9]

- ციფრული ხელმოწერისა და ბეჭდის დადასტურების უზრუნველყოფა – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ შეისყიდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და მომსახურების გაწევის დაწყებას 2018 წლის ბოლოსთვის გეგმავს.[10]

6 http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2FOGP%20%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%2FOGP%20Georgia%20Action%20Plan%202018_2019.pdf

7 http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2FOGP%20%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%2FOGP%20AP_2016-2017%20Self-Assessment.pdf

8 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან, 2018 წლის ნოემბერი.

9 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, 2018 წლის ნოემბერი.

10 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, 2018 წლის ნოემბერი.

7. „საჯარო სამსახურის ახალი სამართლებრივი ჩარჩოს იმპლემენტაცია უფრო პროფესიონალური და დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის უზრუნველსაყოფად“

ზოგადი შეფასება: შესრულდა

გაკეთდა: საჯარო სამსახურის ფუნქციონირების ერთგვაროვანი ხასიათის უზრუნველყოფის მეშვეობით ადამიანური რესურსების მართვის შესახებ რეკომენდაციების მომზადება – სახელმწიფო მომსახურების ბიურომ მოამზადა რეკომენდაციები საჯარო დაწესებულებებში შეფასების სისტემების შემოღებასთან დაკავშირებით. 2018 წლის ბოლომდე ბიურო გეგმავს რამდენიმე სხვა დოკუმენტის გამოქვეყნებას (კერძოდ, დოკუმენტებისა, რომლებიც ეხება სახელმძღვანელო მითითებებს ინსტიტუციური მექანიზმების, საჯარო სამსახურში

საჩუქრების, საჯარო სამსახურში დისციპლინური წარმოების და საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის შესახებ).[11]

11 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა სახელმწიფო მომსახურების ბიუროსთან, 2018 წლის ნოემბერი.

პროფესიული კავშირების უფლებები და ძირითადი შრომითი სტანდარტები

დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები

1. „მოემზადონ ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაციისათვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, შრომის კანონმდებლობა და სამუშაო პირობები, ასევე გენდერული თანასწორობა და ანტიდისკრიმინაცია, როგორც ეს მოცემულია ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამის დანართებში, და კერძოდ შექმნან სათანადო სამართალაღსრულებითი და ზედამხედველობითი სისტემა, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის მიდგომებს (უპირველეს ყოვლისა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ) და განავითარონ სოციალური პარტნიორების შესაძლებლობები (მაგალითად, ტრენინგი ევროკავშირის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონმდებლობასა და სტანდარტებზე და შრომის კანონის თაობაზე)“[12]

პროფესიული კავშირების უფლებები და ძირითადი შრომითი სტანდარტები

2. „სამუშაო სივრცეში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობების შრომითი ინსპექციის სისტემის საზედამხედველო ფუნქციების განმსაზღვრელი საკანონმდებლო ჩარჩოს მიღება, და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტების შესაბამისად, არსებულ კანონმდებლობაში შრომის ინსპექტორთა უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვების აღმოფხვრა“[13]

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: 2018 წელს საქართველომ მიიღო ახალი კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“[14], რომელიც 2019 წლის იანვარში სრულად შევიდა ძალაში. კანონი ვრცელდება მხოლოდ იმ დამსაქმებლებზე, რომლებიც საქმიანობენ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სფეროებში. კანონის შესაბამისად საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ამგვარ საქმიანობათა ჩამონათვალი.[15] ხსენებული კანონი ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების არსებით ასპექტებს, თუმცა დღის წესრიგში დგას მეტი

12 ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წ.წ. დღის წესრიგი, დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები, გვ. 46 <https://eeas.europa.eu/delegations/georgia/35853/annex-ii-eu-georgia-association-agenda_en>

13 იქვე, გვ. 22

14 საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ (კანონი № 2048-IIს; მიღებულია 07/03/2018; გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 21/03/2018) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4103880?publication=2>

15 მთავრობის დადგენილება „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ (დოკუმენტის № N381; მიღებულია: 27/07/2018; გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 01/08/2018) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4277583?publication=0>

პროგრესის საჭიროება. საქართველოს პარლამენტი ამჟამად განიხილავს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში[16] შესატან ცვლილებებს, რომლებიც ნაწილობრივ აღმოფხვრის კანონში მანამდე არსებულ ხარვეზებს.[17]

2018 წლის 19 აპრილს გაიმართა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მეოთხე და რიგგარეშე შეხვედრა[18], რომელმაც დაამტკიცა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა.[19] გარდა ამისა, კომისიის სამუშაო ჯგუფი 2017 წელს ხუთჯერ შეიკრიბა, ხოლო 2018 წელს – ორჯერ.[20]

შრომის ინსპექტორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი და სემინარი.[21] პოზიტიური განვითრების მაგალითია ასევე ფინანსური ნაწილი – 2018 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2019 წელს შრომის ინსპექციის ბიუჯეტი 50%-ით არის გაზრდილი.[22]

მთავრობამ განახორციელა თავისი საზედამხედველო ფუნქცია ნორმატიული დოკუმენტის „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.[23]

არ გაკეთდა: „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მოქმედების სფერო შეზღუდულია. არსებული კანონი და კანონპროექტიც ცხადყოფს, რომ შრომის უსაფრთხოებად მიიჩნევა მხოლოდ მშრომელთა ფიზიკურ უსაფრთხოება და თითქმის უგულებელყოფილია შრომის ინსპექტირების სისტემის შესაძლებლობა, ჰქონდეს უფლებამოსილება, სამუშაო ადგილზე ფსიქოსოციალური საფრთხეებისა და რისკების შესახებ განახორციელოს ზედამხედველობა.

16 „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი (დოკუმენტის № 07-3/224/9) <https://info.parliament.ge/#law-drafting/16349>

17 „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის შეფასება ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ <https://emc.org.ge/ka/products/emc-is-mosazrebebi-shromis-usafrtkhoebis-shesakheb-sakartvelos-organuli-kanonis-proektze>

18 კომისიის მეხუთე შეხვედრა გაიმართა 2018 წლის 7 სექტემბერს.

19 ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ექვსი თვის მოკლე ანგარიში, გვ. 27.

20 ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მოკლე ანგარიში, გვ. 38; ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ექვსი თვის მოკლე ანგარიში, გვ. 27.

21 ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მოკლე ანგარიში, გვ. 38; შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2015-2017 წლების ანგარიში, გვ. 9-10 <https://www.moh.gov.ge/uploads/files/2018/Failebi/28.02.2018.pdf>

22 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს შრომის ინსპექციის ბიუჯეტს შეადგენდა 910,000 ლარი, ხოლო 2019 წლისათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 1,500,000 ლარს.

23 ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მოკლე ანგარიში, გვ. 38.

შრომის ინსპექტირების ორგანოებს არა აქვთ ყველა სამუშაო ადგილზე უპირობოდ დაშვების უფლებამოსილება. კანონის თანახმად, იმისათვის, რომ ჩაატაროს შემთხვევითი შემოწმებები, სახელმწიფო ზედამხედველმა ორგანომ სასამართლოსგან უნდა მიიღოს წინასწარი თანხმობა.[24] „შრომის უსაფრთხოების შესახებ" კანონის პროექტი ითვალისწინებს ამ ხარვეზის აღმოფხვრას, რაც ნიშნავს, რომ 2019 წლის სექტემბრიდან შრომის ინსპექტორებს ექნებათ სამუშაო ადგილებზე უპირობოდ და სწრაფად შესვლის შესაძლებლობა. თუმცა ამ თვალსაზრისით არსებული პრობლემის მასშტაბის და შრომის უსაფრთხოების წესების მიღების მიმართ ადრე არსებული წინააღმდეგობის გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნეს რეგულაციების დროულად ძალაში შესვლა.

ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესისთვის მთავრობას არ წარმოუდგენია გეგმები დამატებითი ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზების შესახებ. აღნიშნულმა გამოწვევამ თავი იჩინა, როდესაც მთავრობა იძულებული გახდა, გადაედო მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სფეროებში დამსაქმებელთა რეგისტრაცია მას შემდეგ, რაც ვერ მოახერხდა ყველა დაინტერესებული დამსაქმებლის დროული რეგისტრაცია.

24 ინსპექტირების განხორციელებისთვის წინაპირობა არ არის სასამართლოს ნებართვა შემდეგ შემთხვევებში: ა) შერჩევითი კონტროლით კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ; ბ) განმეორებითი შემოწმების მიზნით გონივრული ვადის ფარგლებში; გ) სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზნით. შერჩევითი კონტროლის ობიექტები არ არის საჯარო. საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ", მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი (კანონი № 2048-IIს; მიღებულია 07/03/2018; გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 21/03/2018) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4103880?publication=2>

3. „შეიმუშაონ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საჭიროა ეფექტიანი შრომითი ინსპექციის სისტემის შესაქმნელად“[25]

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონი განსაზღვრავს ჯარიმებთან და სანქციებთან დაკავშირებულ წესებს. სანქციების შემოთავაზებული სისტემა შეიძლება შეფასდეს როგორც ადეკვატური და სათანადო, თუკი კანონი ეფექტიანად იმოქმედებს.

არ გაკეთდა: საჭიროა შრომის ინსპექტირების არსებული სისტემის რეფორმირება, რათა მიღწეული იქნეს სრული შესაბამისობა საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დამატებითი ცვლილებები სამუშაო ადგილას ძირითადი შრომითი სტანდარტების განსახორციელებლად და ასამოქმედებლად. კერძოდ, კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ შრომის ინსპექტირების მექანიზმის კომპეტენციებში აღარ იყოს ამჟამად არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზები:

- შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი (რომელიც 2015 წელს ჩამოყალიბდა) შრომის ინსპექტირების სახელმწიფო უწყებაა – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ ვითარებას, ამგვარი სტრუქტურული პრაქტიკა ზღუდავს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის უფლებამოსილებას.

- შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის მანდატი ვრცელდება მხოლოდ შრომის უსაფრთხოებაზე, ტრეფიკინგსა და შრომით ექსპლუატაციაზე და არ ანიჭებს დეპარტამენტს უფლებამოსილებას, უზრუნველყოს სხვა შრომითი უფლებების დაცვა.[26]

25 ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წ.წ. დღის წესრიგი, დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები, გვ. 46 <https://eeas.europa.eu/delegations/georgia/35853/annex-ii-eu-georgia-association-agenda_en>

26 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2019 წლისთვის საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ დაგეგმილია ცვლილებები, რომლის მიხედვითაც შრომის ინსპექცია უზრუნველყოფს შრომითი კანონმდებლობის აღსრულებას. დამატებით, კანონი გაითვალისწინებს დათქმებს, რომ 2020 წლიდან ცვლილება გავრცელდება მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, ხოლო 2022 წლისთვის სხვა ეკონომიკურ სექტორზე.

- შრომის ინსპექტირების სისტემა არ ასრულებს თავის მანდატს – განახორციელოს ზედამხედველობა შემთხვევებზე, როდესაც შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის წესები ირღვევა. ამ კონტექსტში გარდა ამისა, ინსპექტირების უფლებამოსილების აღსრულებისას დეპარტამენტს არც სამუშაო ადგილებზე თავისუფლად შესვლის უფლება აქვს და არც სავალდებულო ძალის გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება. არც სანქციების გარანტირებული, პროპორციული და გონივრული სისტემა არსებობს. აქედან გამომდინარე, შრომის ინსპექტირების სამსახურის უფლებამოსილებათა ხელოვნური დაყოფა და შეზღუდვა არ შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებსა და საერთაშორისო სტანდარტებს.

- საკანონმდებლო ბაზის გაძლიერების პარალელურად არსებითი მნიშვნელობა აქვს ინსპექტირების სამსახურის ინსტიტუციური ზრდის ფინანსური და სხვა სახის დახმარების უზრუნველყოფას, მათ შორის მთელ საქართველოში ადგილობრივი ოფისების გახსნას.

როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ძირითადი შრომითი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობისა და რეალიზების მიზნით უაღრესად მნიშვნელოვანია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციების რატიფიცირება. მაგრამ არ შეინიშნება პროგრესი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შერჩეული კონვენციების რატიფიცირების საქმეში, კერძოდ, ეს კონვენციებია 1947 წლის კონვენცია შრომის ინსპექტირების შესახებ (№81), 1947 წლის შრომის ინსპექტირების შესახებ კონვენციის (№81) 1995 წლის ოქმი, 1969 წლის კონვენცია შრომის ინსპექტირების (სოფლის მეურნეობაში) შესახებ (№129), 1981 წლის კონვენცია საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ (№155), 1985 წლის კონვენცია საწარმოო ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესახებ (№161), 1995 წლის კონვენცია მაღაროებში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ (№176), 1970 წლის კონვენცია მინიმალური ხელფასის დაწესების შესახებ (№131) და სხვ.

პროფესიული კავშირების უფლებები და ძირითადი შრომითი სტანდარტები

4. „გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება და სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა, ისევე როგორც უმცირესობის წარმომადგენელთა თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა, მათი რელიგიის ან რწმენის, ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობის, რასის, სქესის, ენის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, შესაძლებლობის ან სხვა გარემოების მიუხედავად"[27]

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: 2017 წლის 15 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის თანასწორობის დირექტივების იმპლემენტაციას. საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს გარკვეულ მატერიალურ გარანტიებს, რომელთა არარსებობა მოქმედი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის სერიოზულ ნაკლოვანებად მიიჩნეოდა. შეტანილია ცვლილებები არსებულ განსაზღვრებებში ან შემოღებულია ახალი განმარტებები დისკრიმინაციის რამდენიმე ფორმისთვის, როგორიც არის შევიწროება და სექსუალური შევიწროება. კანონპროექტების საფუძველზე ცვლილება შედის პროფესიული საქმიანობის მოთხოვნებთან და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებულ წესებში. შესაბამისად, კანონპროექტები მოიცავს საკითხებს, რომლებიც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბოლოოდ სამუშაო ადგილებზე დაინერგოს თანასწორობის პრინციპი.

2017 წელს საქართველოს მთავრობამ ასევე მიიღო დადგენილება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ", რომელიც მოიცავს ზოგად დებულებებს თანასწორობის, რელიგიური ნეიტრალიტეტის, სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენის შესახებ.[28]

არ გაკეთდა: კანონპროექტი პარლამენტს 2017 წლის ბოლოს წარედგინა და ჯერ კიდევ მიმდინარეობს მისი განხილვა.[29] თუმცა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, ევროკავშირის ძირითადი დირექტივების დანერგვის ვადა 2017 წელს ამოიწურა.

კანონპროექტს თან სდევს რიგი მნიშვნელოვანი გამოწვევებისა დისკრიმინაციის კატეგორიების თვალსაზრისით:

---

27 ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წ.წ. დღის წესრიგი, პროფესიული კავშირების უფლებები და ძირითადი შრომითი სტანდარტები, გვ. 22 <https://eeas.europa.eu/delegations/georgia/35853/annex-ii-eu-georgia-association-agenda_en>

28 მთავრობის დადგენილება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ" (კანონი №200; მიღებულია: 20/04/2017; გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში 21/04/2017) <https://matsne.gov.ge/en/document/view/3645402?publication=1>

29 პარლამენტმა კანონი ორი მოსმენით მიიღო.

- იგი არ მიიჩნევს დისკრიმინაციის ფორმად უარს გონივრულ მისადაგებაზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს რეალური თანასწორობის მისაღწევად კონკრეტული ჯგუფებისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. გარდა ამისა, პარლამენტში მიმდინარე ხანგრძლივი დისკუსიები არ იძლევა საშუალებას განისაზღვროს, თუ რა დრო დასჭირდება ანტიდისკრიმინაციული კანონების გადასინჯვას და, შესაბამისად, გონივრული მისადაგების პრინციპის დანერგვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, შრომით ურთიერთობებში თანასწორობის შესახებ ევროკავშირის 2000/78 დირექტივის შესაბამისად.

- საჯარო სამსახურის მარეგულირებელი ნორმებისგან განსხვავებით, საკანონმდებლო პაკეტში არ არსებობს მკაფიო ნორმა, რომელიც დაადგენდა კერძო სექტორის დამსაქმებელთა ვალდებულებას და აქედან გამომდინარე მათ პასუხისმგებლობას, თავიდან აიცილონ და შეებრძოლონ სამუშაო ადგილას სექსუალურ შევიწროებას.

დისკრიმინაციისგან დამცავი მექანიზმების ეფექტიანობას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ არ შესუსტდეს მთავრობის ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა. თანასწორობის უზრუნველსაყოფად, გარდა სასამართლო მექანიზმებისა, ძირითად გამოწვევად რჩება ქმედითი ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს არა აქვს მექანიზმი სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციის მონიტორინგისა და აღმოფხვრისათვის. ამ ხარვეზის გამოსწორება არც კანონპროექტით არის გათვალისწინებული, ვინაიდან მასში არ არის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავდა დეპარტამენტის მანდატს დისკრიმინაციის შემთხვევებთან მიმართებით – დისკრიმინაციის შემთხვევების განხილვის და სანქციების დაკისრების კომპეტენციას.

ანალოგიური ინსტიტუციური გამოწვევები ხელს უშლის საქართველოს სახალხო დამცველს – თანასწორობის ეროვნულ დაწესებულებას – დისკრიმინაციასთან ბრძოლის ფუნქციის სრულფასოვნად განხორციელებაში. აღნიშნულ გამოწვევებთან გასამკლავებლად საქართველოს სახალხო დამცველმა 2015 წელს თავად წარუდგინა პარლამენტს საკანონმდებლო წინადადება, რომელიც დღემდე არ განხილულა. ეს წინადადება ითვალისწინებს, რომ კერძო მხარეებს ჰქონდეთ ვალდებულება, გადასცენ სახალხო დამცველს დისკრიმინაციის შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია და რომ გაგრძელდეს სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა.

დაბოლოს, რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, არ აღინიშნება სერიოზული პროგრესი დედობის დაცვის საკითხში.[30] მიუხედავად იმისა, რომ დედობის, მამობისა და მშობლის შვებულების სფეროში რეფორმის განხორციელების აშკარა აუცილებლობა არსებობს, დღეისათვის გაუმჯობესება არ აღინიშნება.

30 დედობის, მამობის და მშობლის შვებულების უფლება თანასწორობის შუქზე: ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის კვლევა: გვ. 33-42 (2017) <https://emc.org.ge/uploads/products/pdf/დეკრეტული_შვებულება.pdf>

თანასწორი მოპყრობა

1. „გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება და სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა, ისევე როგორც უმცირესობის წარმომადგენელთა თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა, მათი რელიგიის ან რწმენის, ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობის, რასის, სქესის, ენის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, შესაძლებლობის ან სხვა გარემოების მიუხედავად“

ზოგადი შეფასება: არ შესრულდა

არ გაკეთდა: 2017-2018 წლების განმავლობაში არ გადადგმულა ნაბიჯები **ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის.**

2018 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა კიდევ ერთხელ უყარა კენჭი სავალდებულო გენდერული კვოტების კანონპროექტს და მხარი არ დაუჭირა. პარლამენტის სპიკერმა, ირაკლი კობახიძემ, მმართველი პარტიის – „ქართული ოცნების“ – წევრმა, განაცხადა, რომ ერთ კვირაში ახალი კანონპროექტი იქნებოდა ინიცირებული, მაგრამ ეს დღემდე არ გაკეთებულა.[31]

კვლავ სახეზეა შრომის ბაზრის ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაცია, რაც იწვევს ქალთა კონცენტრაციას ძირითადად დაბალანაზღაურებად სამსახურებში. ეს მწვავე პრობლემაა, რომელსაც საქართველოს მთავრობა არ აგვარებს.[32] დღეისათვის არ გატარებულა ზომები ქალთა ეკონომიკური აქტივობის გასაზრდელად და მამაკაცებისა და ქალების შრომის ანაზღაურებას შორის 35%-იანი სხვაობის აღმოსაფხვრელად.[33] მიუხედავად საქართველოში მამაკაცებსა და ქალებს შორის მნიშვნელოვანი ეკონომიკური უთანასწორობისა, სამთავრობო სამოქმედო გეგმებსა და პოლიტიკაში ქალები თითქმის არ არიან მოხსენიებულნი.[34] 2018 წელს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით გარკვეული აქტივობები გაიწერა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმაში 2018-2020,[35] თუმცა უშუალოდ ეკონომიკასთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმებში ქალების ეკონომიკურ გაძლიერებაზე აქცენტი კვლავ არ კეთდება.

ლგბტქი[36] ადამიანები საქართველოში განიცდიან მათი უფლებებისა და თავისუფლებების სხვადასხვა სისტემურ დარღვევას. ძალზე მაღალია სტიგმა და დისკრიმინაციული დამოკიდებულება თემის წევრების მიმართ, მათ შო-

31 იხ. შემდეგ მისამართზე: http://oc-media.org/georgian-parliament-rejects-gender-quota-bill/

32 ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში: არსებული პოლიტიკისა და ინიციატივების ანალიზი, „საფარი“, 2017, გვ. 21, იხ. შემდეგ მისამართზე: http://sapari.ge/wp-content/uploads/2017/12/woman-economic-eng-www.pdf

33 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თვიური ხელფასები სქესის მიხედვით. 2017.

34 პატარაია, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო სტრატეგიის საჭიროება, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, „საფარი“, 2018, იხ. შემდეგ მისამართზე: http://www.osgf.ge/files/2018/Publications/Angarishi_A4__Women_ENG.pdf

35 ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა 2018-2020, 2018, იხ. შემდეგ მისამართზე: http://myrights.gov.ge/ka/plan/Action%20Plan%202020?fbclid=IwAR0zfuRq8X7HgS_kKviAwhG7BXLFnTRayfL6J4LoHwFAsafmHlihhmeO8Jo

36 ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი და ინტერსექსი

რის პოლიტიკოსების, პოლიციის, სამედიცინო პერსონალისა და სხვა პროფესიული წრეების მხრიდან.[37] გამოწვევად რჩება გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება. 2017 წელს ლგბტქი თემის წევრებს დროსა და სივრცის შეზღუდვის პირობებში შესაძლებლობა მიეცათ გაემართათ ღონისძიება ჰომოფობიის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად; 2018 წელს კი ლგბტქი ყველა სათემო ორგანიზაციამ ერთხმად უარი თქვეს აქციის გამართვაზე, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა უსაფრთხო გარემოს აზრის თავისუფალი გამოხატვის და შეკრების უფლებებით სარგებლობისათვის.[38]

ტრანსგენდერი ადამიანებისთვის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, სქესის აღიარება იურიდიულად. ისინი იძულებულნი არიან, გაიარონ სქესის შეცვლის ოპერაცია, რათა შეცვალონ სქესის მაჩვენებელი პირადობის დამადასტურებელ საბუთებში და დაბადების მოწმობაში, ასევე გაიარონ გარდაუვალი სტერილიზაცია, სავალდებულო ჰორმონალური მკურნალობა და სხვადასხვა ოპერაციები.[39] მიუხედავად იმისა, რომ ლგბტქი თემის ღრმა სისტემური პრობლემების წინაშე დგას, სახელმწიფოს არ შეუტანია სექსუალურ ორიენტაციასთან, გენდერულ იდენტობასა და გამოხატვასთან და სქესის მახასიათებლებთან დაკავშირებული საკითხები ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ეროვნულ სამოქმედო გეგმებში.[40]

რელიგიურ უმცირესობებს საქართველოში უარს ეუბნებიან მშენებლობის ნებართვებზე, რომლებიც ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გასცენ რელიგიურ უმცირესობათა ორგანიზაციებზე. ამ დისკრიმინაციულ პრაქტიკას სამოქალაქო საზოგადოება რელიგიურ უმცირესობათა მიმართ უფრო ფართო დისკრიმინაციული და თვითნებური პოლიტიკის ნაწილად აფასებს.[41] რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო 2014 წელს ჩამოყალიბებული უწყებაა, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება მწვავედ აკრიტიკებს მისი მცდელობების გამო, მოიპოვოს კონტროლი რელიგიურ ორგანიზაციებზე. დისკრიმინაციად ითვლება მხოლოდ ოთხი რელიგიური ორგანიზაციის (რომის კათოლიკური ეკლესიის, სომხური სამოციქულო ეკლესიის, მუსლიმებისა და ებრაელების ჯგუფების) დაფინანსება; ასეთი დაფინანსების

---

37 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტისთვის წარდგენილი დოკუმენტი, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2018, იხ. შემდეგ მისამართზე: https://women.ge/data/docs/publications/WISG_Submission_INDEPENDENT-EXPERT_2018.pdf

38 იხ. შემდეგ მისამართზე: https://dfwatch.net/gay-rights-rally-canceled-tbilisi-following-pressure-far-right-groups-50384

39 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ქ-ნი თეა წულუკიანის განცხადება, 11.06.2018, იხ. შემდეგ მისამართზე: http://liberali.ge/news/view/37592/tsulukiani-reforma-romelits-ar-gavatare-aris-transgenderi-adamianebistvis-sqesis-aghiareba

40 თანასწორობის მოძრაობა, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და ILGA-Europe, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტისთვის წარდგენილი დოკუმენტი, 2018, იხ. შემდეგ მისამართზე: http://www.equality.ge/en/submission-un-independent-expert-protection-violence-discrimination-based-sogy-victor-madrigal-ahead-visit-georgia/

41 რელიგიურ თავისუფლებათა შეზღუდვისა და დისკრიმინაციის შემთხვევათა მიმოხილვა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017, იხ. შემდეგ მისამართზე: https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Overview-of-Cases-on-Cestriction-of-Religious-Freedoms-and-Discrimination-in-Georgia.pdf

პირობებში არსებობს ჩარევის მაღალი რისკიც. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა განცხადებით, მთავრობამ უნდა გადახედოს და არსებითად შეცვალოს თავისი სტრატეგია და მიდგომები არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციების მიმართ.[42]

უკვე მრავალი წელია საქართველოში **ეთნიკური უმცირესობებისთვის** უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფო ენის არცოდნა. არსებული პროგრამები და სახელმძღვანელოები არ არის საკმარისი ამ პრობლემის მოსაგვარებლად. აშკარაა, რომ ენის ბარიერი ხელს უშლის აზერბაიჯანული და სომხური თემების სოციალურ ინტეგრაციას საქართველოში.[43] ბოლო ორი წლის განმავლობაში მთავრობის მიერ არ შექმნილა რაიმე ახალი პროგრამა ან პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობდა განათლებაზე წვდომას. სახელმწიფოს არ ჩამოუყალიბებია არც ერთიანი სტრატეგია და არც სამოქმედო გეგმა განათლების ყველა დონეზე ეთნიკურ უმცირესობათა ჩართვის გაზრდის ხელშესაწყობად.

2017-2018 წლების პერიოდში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება **შეზღუდული შესაძლებლობების** მქონე პირებთან მიმართებით და საქართველოს ჯერ კიდევ არ მოუხდენია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება. კვლავ ფუნდამენტურ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს შრომის ბაზარზე, განათლების სისტემაში და ზოგადად სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობის დაბალი დონე.[44] შშმ პირთათვის შრომის ბაზარზე, განათლების სისტემაში და სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობის უფლების რეალიზება ძალზე პრობლემურია ურბანული ცენტრების მიღმა – ეს სიტუაცია შეიქმნა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების და იმგვარი მექანიზმის აშკარა არარსებობის გამო, რომელიც შეძლებდა დისკრიმინაციის შემთხვევების მონიტორინგს და შესაბამისი სანქციების დაწესებ[ას.][45]

42 ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები რეაგირებენ მთავრობის გადაწყვეტილებაზე, გააუქმოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 04.07.2018, იხ. შემდეგ მისამართზე: https://www.tdi.ge/en/statement/human-rights-organizations-respond-governments-decision-abolition-state-agency-religious

43 საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობა, 2017. გვ. 171-178. იხ. შემდეგ მისამართზე: https://sites.google.com/view/geoombudsman2/reports/parliamentary-reports

44 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები, ბავშვთა უფლებები, გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR), „საფარი“, 2018. იხ. შემდეგ მისამართზე: https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Raport_1537452439.pdf

45 საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობა, 2017. გვ. 182-194. იხ. შემდეგ მისამართზე: https://sites.google.com/view/geoombudsman2/reports/parliamentary-reports

2. „გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის იმპლემენტაციის გაძლიერებისთვის დამატებითი ზომების მიღება, მათ შორის საკითხთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლება როგორც ზოგადად მოსახლეობაში, ისე სპეციფიურ პროფესიულ ჯგუფებში, როგორიცაა პოლიცია, და სოფლებსა და უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობა. მსხვერპლთათვის საკონსულტაციო მომსახურებებსა და თავშესაფრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა"

ზოგადი შეფასება: შესრულდა

გაკეთდა:

- 2017 წლის მაისში საქართველომ მოახდინა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბულის კონვენციის) რატიფიცირება და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა ქვეყნის კანონმდებლობაში.

- 2018 წლის დასაწყისში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს დისკრიმინაციის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების, გენდერული ნიშნით ძალადობის, ოჯახში ძალადობის და არასრულწლოვანი მოქალაქეების მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას.

- გამოძიებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2018 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ოჯახში ჩადენილი დანაშაულისთვის ბრალი წაყენებული იქნა 1,933 საქმეში; ეს რიცხვი მთლიანად 2017 წელს ბრალის წაყენების შემთხვევათა საერთო რაოდენობის ტოლია.[46]

- შემუშავდა რისკების შეფასების ინსტრუმენტი და შემაკავებელი ორდერების განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი და 2018 წლის ივლისში მოხდა მისი საპილოტე გამოცდა.[47]

- 2017 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა ახალი ცხელი ხაზი (116 006). იმისათვის, რომ საზოგადოებაში გავრცელებულიყო ინფორმაცია ცხელი ხაზის შესახებ, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე განთავსდა რეკლამა, შვიდ ქალაქში გაიმართა ქუჩის ღონისძიებები და დარიგდა საინფორმაციო ფლაერები. გარდა ამისა, ძირითად და რეგიონულ სატელევიზიო არხებზე გავიდა სოციალური რეკლამა.[48]

---

46 შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, იხ. შემდეგ მისამართზე: **https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-odjakhuri-danashaulis-shesakheb-momartviano-ba-bolo-6-tveshi-sagrdznoblad-gaizarda/11806?fbclid=IwAR0Sb4XJyxQ2mfGsA4TlyOPqZqi-gah-h7e7si-f3GE2P4FA9OhQoPi8rCXc**

47 შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წერილი **#MIA 9 18 02486753,** თარიღი: **11.10.2018**

48 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ოფიციალური წერილი **#07/1387,** თარიღი: **05.10.2018.**

- გაეროს ქალთა ორგანიზაციის დახმარებით გორსა და ქუთაისში გაიხსნა ორი ახალი კრიზისული ცენტრი, 2018 წლის ბოლოსთვის კი მარნეულსა და ოზურგეთში გაიხსნება კრიზისული ცენტრები გენდერული ნიშნით ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის.[49]

- 2017 წელს, გაეროს მოსახლეობის ფონდის დახმარებით, მიღებული იქნა ახალი სახელმძღვანელო მითითებები ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის იდენტიფიცირების შესახებ, ასევე მოპყრობისა და მიმართვიანობის პრინციპები.[50]

49 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური წერილი #01/7079-ს, თარიღი: 08.10.2018.
50 იქვე.

ბავშვთა უფლებების დაცვა

1. „სახალხო დამცველის როლის გაძლიერება და მისი შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა, ბავშვთა საკითხებზე მუშაობისა და inter alia შესაბამის ინსტიტუტებში არსებული სიტუაციის მონიტორინგის გაგრძელების მიზნით, მათ შორის დღის ცენტრებში“

ზოგადი შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

2017 წელს ომბუდსმენი ეწეოდა რეგულარულ საქმიანობას ბავშვების დასაცავად:

- წამოჭრა უსაფრთხო და უვნებელი სათამაშოების შესახებ რეგულაციების მიღების საკითხი: საქართველოს ჯერ არ მოუხდენია თავისი შიდა რეგულაციების დაახლოება სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ევროკავშირის დირექტივასთან (2009/48/EC).

- წამოჭრა ბავშვებს შორის სუიციდის საკითხი: 2017 წელს გაიზარდა არასრულწლოვანთა შორის სუციდის ან სუიციდის მცდელობის შემთხვევათა რაოდენობა. არ შემუშავებულა სუიციდის პრევენციის სამოქმედო გეგმა.

- საჯარო სკოლებში უსაფრთხო და უვნებელი სასმელი წყლის არსებობისა და სანიტარიისა და ჰიგიენის სათანადო სტანდარტების დაცვის მონიტორინგი.

- სკოლამდელი განათლების და საბავშვო ბაღების მუშაობაში ხარვეზების მონიტორინგი: სახალხო დამცველმა აღნიშნა გადავსებული ოთახების (თითოში 60-65 ბავშვი) საკითხი.

- სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვების (სკოლის მიტოვების გამო) და სხვადასხვა უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებისთვის განათლებაზე წვდომის პრობლემის მონიტორინგი.

- ბავშვთა სიღარიბის მონიტორინგი, ასევე ბავშვთა სეგრეგაციის თავიდან აცილებაზე და ბავშვთა ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე მიმართული სოციალური პროგრამების ეფექტიანობის მონიტორინგი.

არ გაკეთდა: მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს საქართველოს ომბუდსმენის მხრიდან იყო მცდელობები, ჩაეტარებინა ბავშვთა უფლებების დაცვის სრულფასოვანი მონიტორინგი, რამდენიმე დაბრკოლება ხელს უშლიდა სახალხო დამცველის მუშაობას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს მუშაობა სტრესულ, ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის სახიფათო გარემოში უწევდათ. სახალხო დამცველის აპარატის გაუმართავი ინფრასტრუქტურის (შენობაში მუშაობა არ იყო

უსაფრთხო) და პრობლემური სამუშაო პირობების გამო 2018 წლის ივნისში ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლები იძულებულნი იქნენ, დაახლოებით ორი კვირით გაეუქმებინათ ცხელი ხაზი. ასევე, შეფერხდა სხვა სერვისები, მათ შორის ბავშვის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული აქტივობები. სახალხო დამცველის მოწოდებული ინფორმაციით, ამ პრობლემების უმთავრესი მიზეზი იყო შეუსაბამო და სახიფათო ინფრასტრუქტურა, რომელიც თანამშრომლებისთვის სერიოზულ რისკებს შეიცავდა.

თუმცა ადეკვატური არც ამჟამად არსებული ვითარებაა, რადგან სახალხო დამცველის აპარატს კვლავაც უწევს ოფისის ქირაობა, რაც არ არის რენტაბელური. ამიტომ ის ბიუჯეტი, რომელიც გამოიყო მონიტორინგის და ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის, ძირითადად ქირის გადახდაზე იხარჯება. ეს მდგომარეობა ცხადყოფს, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტს სახელმწიფო საკმარისად არ უჭერს მხარს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფო არ ასრულებს თავის ვალდებულებას სახალხო დამცველის აპარატთან მიმართებაში.

2. „ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვების დასაცავად შესაბამის ზომებზე ყურადღების გამახვილება“

ზოგადი შეფასება: არ შესრულდა

არ გაკეთდა: სამოქმედო გეგმის მიხედვით, მეორე მოკლევადიანი პრიორიტეტის შესასრულებლად ხელისუფლება ვალდებული იყო, შემოეღო **ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“.** თუმცა საქართველოში კონკრეტულად ეს მიმართვიანობის მექანიზმი ჯერ კიდევ 2010 წელს იქნა შემოღებული. ამიტომ გაუგებარია, თუ როგორ უნდა შეაფასონ მეორე მოკლევადიანი პრიორიტეტის შესრულება ან მთავრობამ და ან არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

გარდა ზემოთქმულისა, ძალადობისგან ბავშვების დაცვის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა არსებობს და სახელმწიფო სათანადოდ არ ზრუნავს მათ მოგვარებაზე:

- ფიზიკური დასჯა არ არის კრიმინალიზებული და კვლავ არ ისჯება საქართველოში;

- საქართველოს პარლამენტს არ გაუტარებია ზომები, რათა მოეხდინა ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზება „ლანზაროტის კონვენციასთან“ (ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ) ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციის და აღმოფხვრის თვალსაზრისით;

- საქართველოს მთავრობას არ ჩამოუყალიბებია ბავშვების მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა, არ შემოუღია რაიმე პრევენციული პროგრამები, მათ შორის: მშობელთა ტრენინგის, ბავშვებისთვის ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამები, უსაფრთხო ადგილები, რეაგირებისა და მხარდაჭერის სერვისები და ნორმებისა და ფასეულობების ცვლილებისკენ მიმართული კამპანიები, რომლებიც ბავშვთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ყოვლისმომცველი პოლიტიკის არსებითი ელემენტებია.

- საქართველოს მთავრობას არ გაუტარებია სათანადო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფდა მართლმსაჯულებაზე წვდომას ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის. გარდა ამისა, ხელისუფლებას არ შემოუღია ბავშვების ინტერესებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემა, რომლის ფარგლებშიც შეიქმნებოდა ეფექტიანი რეაბილიტაციის სამსახურები ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის;

- საქართველოში არ არსებობს ბავშვთა უფლებებზე მომუშავე, მომზადებულ პროფესიონალთა კრიტიკული მასა;

- სახელმწიფო ცხელი ხაზი ბავშვებისათვის არ მუშაობს ყოველდღე, 24 საათის განმავლობაში. მასზე დარეკვის შედეგად 18:00 სერვისის მიღება შესაძლებელი. ეს ნიშნავს, რომ ბავშვებს და მათ მშობლებს ან იურიდიულ წარმომადგენლებს არ მიუწვდებათ ხელი ცხელ ხაზზე, რათა სათანადო ორგანოებს აცნობონ ბავშვთა უფლებების დარღვევების და ბავშვებზე ძალადობის ფაქტების შესახებ საღამოს 6 საათის შემდეგ და შაბათ-კვირას.

- სახელმწიფოს არ ჩაუტარებია შესაბამისი საინფორმაციო კამპანიები ბავშვთა უფლებებისა და ბავშვებზე ძალადობასთან ბრძოლის შესახებ.

გარემო და კლიმატის ცვლილება

გარემო

1. „გარემოსდაცვითი მმართველობის გაძლიერება გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან, სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასთან დაკავშირებით ახალი კანონმდებლობის მიღებითა და იმპლემენტაციის გზით; გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ახალი კანონმდებლობის მიღება, საზოგადობისთვის გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით; პოლიტიკური აქტივობის სხვადასხვა სფეროში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება და გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაზიარების მექანიზმის გაუმჯობესება, რაც შეესაბამება ერთიანი გარემოსდაცვითი ინფორმაციის სისტემის (SEIS) პრინციპებს“

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად 2018 წლის 1 იანვარიდან ამოქმედდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რაც მოთხოვნილია ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით. კოდექსი განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის პროცედურებს, სახელმწიფო და კერძო პროექტებისათვის, რომლებსაც თან სდევს მნიშვნელოვანი რისკები გარემოსთვის და ადამიანების ჯანმრთელობისთვის. ამასთან, კოდექსის საფუძველზე აღდგა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა.

- 2018 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა კოდექსის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილი. შედეგად, პირველი დოკუმენტი „ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის, სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და მაღალმთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარების“ შესახებ სტრატეგია წარედგინა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკრინინგის პროცედურის ჩასატარებლად.

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ დაამტკიცა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომის წესი (2017).

- მთავრობამ ხელახლა შემოიღო გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, ასევე შეიმუშავა და დაამტკიცა, ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზე განხორციელდება საჯარო მოსმენების ორგანიზება.

არ გაკეთდა:

- მთავრობას არ გაუმართავს კონსულტაციები საზოგადოებასთან საქართველოში გარემოსდაცვითი მმართველობის სისტემის რესტრუქტურიზაციის პროცესში, რომლის შედეგად 2018 წლის გაზაფხულზე მოხდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შერწყმა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სისტემატურად არღვევდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებს საზოგადოების მონაწილეობის თაობაზე. კერძოდ, კონსულტაციების ჩატარების ვადების, დოკუმენტაციის გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის, საჯარო მოსმენების ორგანიზების და სხვა საკითხების თვალსაზრისით. შედეგად, გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესებში საზოგადოების მონაწილეობა კვლავაც პრობლემურია.

- შემუშავების პროცესშია კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ. პირველი კანონპროექტი საზოგადოების განსახილველად და შენიშვნების მისაღებად 2018 წლის ივნისში იქნა წარდგენილი. კანონი ხელახლა შემოიღებს „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპს, რათა თავიდან იქნეს აცილებული და გამოსწორებული გარემოსთვის მიყენებული ზიანი 2004/35/EC დირექტივის შესაბამისად.

- მიმდინარეობს მუშაობა ერთიანი გარემოსდაცვითი ინფორმაციის სისტემის (SEIS) ფარგლებში გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის შემოღების მიმართულებით. უკვე შემუშავებულია სამი მოდული – ბიომრავალფეროვნება, გაუდაბნოება და კლიმატის ცვლილება – და განთავსებულია შემდეგ ვებგვერდზე: https://eims.eiec.gov.ge/. გარდა ამისა, შემუშავდა მობილური აპლიკაციაც.

2. „საქართველოს მე-3 გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის (2017-2021) მიღება“

შეფასება: შესრულდა

გაკეთდა: 2018 წლის 22 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო მესამე გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა 2017-2021 წლებისათვის.

3. „რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის იმპლემენტაციის დაწყება“

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მთავარი მიზანია მთელი რადიოაქტიური ნარჩენების მოგროვება შემდგომი 15 წლის განმავლობაში. 2017–2018 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად მიღებული იქნა შესაბამისი ტექნიკური რეგულაციები.

- განხორციელდა ზომები რადიოაქტიური ნარჩენების დამუშავების ობიექტების უსაფრთხოების გასაზრდელად. ამ ობიექტებში შედის მცხეთის ცენტრალური საცავიც, რომელშიც დამონტაჟდა რადიაციული ფონის მონიტორინგის სისტემა, ცემენტაციის ობიექტი რადიოაქტიური ნარჩენების გაუვნებელყოფისათვის, გამზომი მოწყობილობები, ფეხის და ხელის რადიოლოგიური აპარატურა. სააკაძის ნარჩენების განთავსების ობიექტზე, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) დახმარებით, გაიზარდა ზოგადი უსაფრთხოება და დაცვის ზომები.

- მცხეთის ცენტრალურ საცავში შესყიდული იქნა აპარატურა თხევადი რადიოაქტიური ნარჩენების მართვისთვის და დღეს საქართველოს აქვს შესაძლებლობა, დაამუშავოს და უსაფრთხოდ შეინახოს ამ სახის ნარჩენები.

- შემუშავდა და ევროკავშირთან შეთანხმდა სპეციალური საპროექტო წინადადება, რომელიც გულისხმობს სააკაძის ობიექტის მოკვლევას იმ მიზნით, რომ აქ განთავსდეს რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ყველა ობიექტი და დაპროექტდეს საცავისა და ნარჩენების დამუშავების ახალი სათავსოები.

არ გაკეთდა: სტრატეგიის შესაბამისად, შვედეთის მთავრობასთან თანამშრომლობით ჩატარდა ანასეულის ობიექტის რადიოლოგიური მონიტორინგი. მაგრამ მუშაობა ანასეულის ობიექტისთვის დეკონტამინაციის გეგმის მომზადებაზე განრიგს ჩამორჩება.

კლიმატის ცვლილება

4. „საქართველოში გამონაბოლქვის დაბალი მაჩვენებლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მიღება“

შეფასება: არ შესრულდა

არ გაკეთდა:

- მომზადდა და საბოლოო სახე მიეცა საქართველოში გამონაბოლქვის დაბალი მაჩვენებლის განვითარების სტრატეგიას, თუმცა მთავრობას ის ჯერ არ მიუღია.

- სტრატეგიით განსაზღვრული ზოგიერთი ქმედება 2017-2020 წლების მესამე ეროვნულ გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმაში იქნა გადატანილი.

5. „პარიზის კლიმატის შეთანხმების იმპლემენტაციის დაწყება“

შეფასება: შესრულდა

გაკეთდა:

- ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შესახებ თავისი პირველი დოკუმენტი საქართველომ 2015 წლის მაისში წარადგინა. მიმდინარეობს მუშაობა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შესახებ დოკუმენტის შესავსებად უახლესი ინფორმაციით. აქედან გამომდინარე, ხელახლა იქნა დაანგარიშებული ეკონომიკის სექტორებიდან სათბურის აირის არსებული გამონაბოლქვები და ჩამოყალიბდა პროგნოზი 2030 წლისათვის. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2018 წლის დეკემბერში წარადგინა განახლებული დოკუმენტის შინაარსი და სტრუქტურა, დაინტერესებული პირებისგან შენიშვნებისა და კომენტარების მისაღებად.

- მომზადდა პოტენციურ ქმედებათა ჩამონათვალი სათბურის აირის შემცირების/შერბილების სცენარებისთვის ტრანსპორტის სექტორისთვის.

ავტორები

მართლმსაჯულება

ნონა ქურდოვანიძე არის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე. მას აქვს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული რეფორმების მიმართულებით მუშაობის ათწლიანი გამოცდილება. ის სხვადასხვა წლებში მუშაობდა საია-ს იურიდიული დახმარების ცენტრის ხელმძღვანელის, პროექტების კოორდინატორისა და ადვოკატის პოზიციაზე. როგორც ადამიანის უფლებათა ადვოკატი, იგი ეხმარება პირებს უფლებების დაცვაში წარმატებული სასამართლო წარმომადგენლობის და კონსულტაციების გზით. ნონა ქურდოვანიძე არის არაერთი კვლევისა და ანგარიშის ავტორი.

ანტიკორუფციული პოლიტიკა

ერეკლე ურუშაძე პროგრამის მენეჯერია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოში“ და ხელმძღვანელობს ორგანიზაციის კვლევით და ადვოკატირების მუშაობას ანტიკორუფციული პოლიტიკისა და რეფორმების სფეროში. 2009 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოში“ მუშაობის დაწყებიდან იგი წამყვან როლს ასრულებდა ეროვნული ანტიკორუფციული სისტემების შეფასებების (საქართველოს ძირითადი ინსტიტუტების საქმიანობის მიმოხილვა) მომზადებაში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“ მუშაობის დაწყებამდე ბ-ნი ურუშაძე მუშაობდა აშშ-ის ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტში, BBC-ს მონიტორინგის სამსახურში და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტში. მას აქვს მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში.

პროფესიული კავშირების უფლებები და ძირითადი შრომითი სტანდარტები

ნინო ქაშაკაშვილი ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) სოციალური პოლიტიკის პროგრამის მკვლევარია. მას მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხები სამართალში. მიმდინარე პერიოდში არის ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტი. ნინო ქაშაკაშვილი არის სხვადასხვა სასწავლო-კვლევითი გრანტის მფლობელი.

თანასწორი მოპყრობა

ბაბუცა პატარაია ქალთა ორგანიზაცია „საფარის“ დირექტორია და აქტიურად არის ჩართული საქართველოს ქალთა მოძრაობაში. იგი თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან როგორც ადგილობრივი ექსპერტი ქალთა საკითხებში და ადამიანის უფლებებზე, ქალთა უფლებებსა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობაზე ლექციებს კითხულობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მას მიღებული აქვს სამართლის მაგისტრის ხარისხი ცენტრალურ ევროპულ უნივერსიტეტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ბავშვთა უფლებების დაცვა

ანა არგანაშვილი ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ აღმასრულებელი დირექტორია. იგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სოციალური ინტეგრაციისა და რეაბილიტაციის სფეროში 2003 წლიდან მუშაობს. სახალხო დამცველის აპარატში შვიდი წლის განმავლობაში ედგა სათავეში გედნერული თანასწორობის დეპარტამენტს და ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების ცენტრებს. გარდა ამისა, ქ-ნი არგანაშვილი ორი წლის განმავლობაში მუშაობდა „იუნისეფის“ პროექტში, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე იყო მიმართული. 2009 წელს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების სფეროში თავისი წვლილისათვის, მან მოიპოვა კოალიციის „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ – შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის – მხრიდან აღიარება. იგი ავტორია მრავალი კვლევისა და ანგარიშისა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ქალებისა და ბავშვების უფლებების შესახებ. ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები შრომით თერაპიაში მან ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, ხოლო მაგისტრის ხარისხი სამართალში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

გარემო და კლიმატის ცვლილება

მანანა ქოჩლაძე ცენტალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკების დამკვირვებელთა ქსელის კოორდინატორია ევროკავშირის სამეზობლო რეგიონში. ასევე არის ადგილობრივი გარემოსდაცვითი ორგანიზაციის – „მწვანე ალტერნატივა“ – დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. 2008-2010 წლებში იყო ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის სახელმძღვანელო საბჭოს წევრი „ევროპის საინვესტიციო ბანკის საგარეო მანდატის შუალედური გადახედვისთვის“. მანანა ქოჩლაძემ 2004 წელს გოლდმანის გარემოსდაცვითი პრიზი მიიღო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კამპანიისთვის. განათლებით ბიოლოგია. არის გარემოსდაცვის და ენერგეტიკის საკითხებზე არაერთი ანგარიშის ავტორი და თანაავტორი.

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“
ტელ: +995 32 2 25 04 63
ფაქსი: +995 32 2 29 10 52
ელ.ფოსტა: contact@osgf.ge; osgf@osgf.ge
ვებგვერდი: www.osgf.ge